საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1931 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№35 (6581) 9 სექტემბერი ხუთშაბათი 1993 წელი

## საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

## დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

საბაზრო ეკონომიკის კვალობაზე რიგი სამრეწველო და სხვა სახის პროდუქციის ფასების მომატების გამო, მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. 1993 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე (თანამდებობრივი სარგოები, განაკვეთები და სხვა) გადიდდეს 100 პროცენტით და განისაზღვროს თვეში 9200 (ცხრა ათას ორასი) კუპონის ოდენობით.

შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონეში არ გაითვალისწინება დანამატები, წანამატები, პრემიები, და სხვა წამახალისებელი გასაცემლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიუჯეტზე არსებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, თავდაცვის, სამართალდამცველ, ადმინისტრაციულ, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში დასაქმებულ მუშაკთა თანამდებობრივი სარგოები და ყველა სახის დანამატები, წანამატები და მუშაკთა შრომის საათობრივი განაკვეთები სასწავლო მეცადინეობის ჩატარებისათვის გადიდდეს 100 პროცენტით, ამავე ოდენობით, გადიდდეს ყველა სახის დღემდე მოქმედი სტიპენდიები, დახმარებები შემწეობები, არამომუშავე პენსიონერთა პენსიები და სხვა სახის გასაცემლები.

2. დაწესდეს, რომ მუშა-მოსამსახურეთა და გადასახადით დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებულ მოქალაქეთა ხელფასი და სხვა შემოსავლებში 9200 კუპონის ოდენობით, რაც მიღებულია მათ ძირითად სამუშაო — (სამსახურის, სწავლის) ადგილზე, არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

3. იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ღონისძიების განხორციელება გამოიწვევს 1993 წლის აპრილ-დეკემბრის ბიუჯეტის ხარჯებისა და დეფიციტის გადიდებას 50 მილიარდი კუპონით, ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს გაზარდოს ბიუჯეტის დეფიციტი აღნიშნული თანხით და დაავალოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს გამოყოს ამ მიზნით გრძელვადიანი კრედიტი (5 წლის ვადით 1 პროცენტიანი სარგებლის განაკვეთით წლიწადზე გაანგარიშებით).

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს დარგობრივ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, შეიტანოს სათანადო ცვლილებანი შესაბამის მოქმედ ინსტრუქციებში.

5. ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 3 ივნისის №437 დადგენილების 1-ლი და მე-2 პუნქტები.

6. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესის, რადიო-ტელევიზიის საშუალებით მისი ძალაში შესვლის შემდეგ.

**საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია.**

**ქ. თბილისი, 1993 წლის 29 აგვისტო.**

## „ქარტია-91"-ის მიმართვა

### საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს

დღეისათვის ნათელია, რომ ოფიციალურმა ქართულმა პოლიტიკამ მრავალი პარამეტრის მიხედვით სასტიკი მარცხი განიცადა. გახლეჩილი ეროვნული ცნობიერება, წაგებული ომი და დანგრეული ეკონომიკა ამ პოლიტიკის ლოგიკური შედეგია. რა თქმა უნდა, დამღუპველი აღმოჩნდა გამოკვეთილი სტრატეგიული პრინციპების უქონლობა რუსეთთან ურთიერთობაში. ხოლო ხელისუფლების მაღალ ეშელონებში გამეფებულმა რესტავრატორულმა, ანტირეფორმისტულმა განწყობილებებმა კიდევ უფრო გააღრმავეს ქვეყნის ნგრევის პროცესი. საფრთხე შეექმნა არა მარტო საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას, არამედ ერის ფიზიკურ არსებობასაც.

ამ ეტაპზე მთლიანი ხელისუფლების უმწვავესი კრიზისის დასაძლევად საჭიროა ხელისუფლების ახლანდელი სტრუქტურის შეცვლა რეალური პოლიტიკური ბალანსის ზუსტი გათვალისწინებით. ალბათ, შესაძლებელია საკონსტიტუციო კომისიის რეორგანიზაცია მისთვის გარკვეული საკანონმდებლო უფლებების დელეგირებით და კომისიის შემადგენლობის გადახალისება მთელი პოლიტიკური სპექტრის ჩართვით. ამავე კომისიამ გარკვეულ ვადაში უნდა მოამზადოს ახალი არჩევნები, ხოლო არჩევნებამდე აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა გადაეცეს კოალიციურ მთავრობას, რომელიც ჩამოყალიბდება საკონსტიტუციო კომისიასთან შეთანხმებით. ჩიხიდან ქვეყნის გამოყვანა ამჟამად მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი.

ორი წლის წინანდელი კრიზისის დროს, როდესაც იწერებოდა „ქარტია-91" საქართველოში საყოველთაო სამოქალაქო მშვიდობისათვის", ჩვენ შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა ის პრინციპები, რომელთაც, ჩვენის აზრით, უნდა დაფუძნებოდა ეროვნული თანხმობა და მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. ამ პრინციპებს, ვფიქრობთ, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ეგებ ახლა მაინც შევძლოთ საერთო ენის მოძებნა და ქვეყანა ძალაუფლებისათვის ბრძოლას არ ვანაცვალოთ. დიდი პოლიტიკური მორიგების გზით ეროვნული ცნობიერების გამთლიანება გადაუდებელი სადღეისო ამოცანაა. ყოვლად დაუშვებელია ძალაუფლების კრიზისის გადაზრდა სახელმწიფოებრიობის კრიზისში და ეს უბრალო ჭეშმარიტება პირველ რიგში თავად ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რათა, თუნდაც საკუთარი ძალაუფლების შეზღუდვის ფასად, ქვეყანას ააცილოს დამღუპველი სამოქალაქო ომის საფრთხე.

## რომ არა ათასი მაგრამ . . .

დღეს—ნგრევის, შიმშილის, სისხლისღვრის პირობებში ნორმალური ფიქრიც კი ძნელია სწავლა-აღზრდაზე, ახალგაზრდობის ბედზე. არა და არა გვაქვს უფლება ფარ-ხმალი დავყაროთ. ალბათ გაინტერესებთ, რას ფიქრობს ცაგერის პროფტექნიკური სასწავლებლის ხელმძღვანელობა, რა საიმედოს ხედავს, ახსოვს თუ არა სასწავლებელი ვისმეს და რაში გამოიხატება ეს, თუ რა სიახლე, ან პერსპექტივა არის. ამის შესახებ გაზეთის მეორე გვერდზე გესაუბრებათ ცაგერის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი ჯიბილო მიქაძე.

### თვალსაზრისი

## მოზარდთა ბედით დაინტერესება თუ გვიხსნის

დღევანდელი სწავლების პროცესში ვლინდება ჩვენი ყოფის უპირველესი პრობლემები, რაც აისახება მოსწავლეთა როგორც ყოფით ცხოვრებაში, ასევე მათ მიერ სწავლებისადმი დამოკიდებულებაში.

ხშირად გაიგონებთ. მოზარდებს აღარ სურთ სწავლა. ამას არაერთი მიზეზი განაპირობებს, მაგრამ უპირველესი თავად საზოგადოების ერთგვარი ზერელე დამოკიდებულება სწავლული, განათლებული ადამიანისადმი. როცა მოზარდს ესმის, რომ სწავლა ნებისმიერს შეუძლია, ვისაც ფული აქვს და რასაც რეალურადაც გრძნობს (მომრავლებული ფასიანი უმაღლესი სასწავლებლების, ინსტიტუტების სტუდენტები არც თუ იშვიათად დაბალი ცოდნის მქონე ახალგაზრდები ხდებიან), ძნელია დაარწმუნო, რომ ცოდნა აუცილებელია თუნდაც დიპლომის მოსაპოვებლად.

არის მეორე, საკმაოდ გავრცელებული პრობლემაც, საშუალო სკოლების მაღალ კლასებში მოსწავლეები ინტერესებიდან მხოლოდ იმ საგნებით, რომლებსაც მისაღებ გამოცდებზე აბარებენ და თაქტიურად ორი-სამი წლის მანძილზე მათ მიერ მხოლოდ რამდენიმე საგნის პროგრამის შესწავლა ხდება, ალბათ, ამიტომაცაა აუცილებელი დამკვიდრდეს დიფერენცირებული სწავლების ჯგუფები.

ბოლო ხანს დიდია ინტერესი უცხო ენების შესწავლისა, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ ჩემთვის, როგორც რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგისათვის, გასაკვირია, თუ მოსწავლეები რატომ არ იჩენენ ასეთივე ინტერესს რუსული ენისადმი. რა არის ეს, რუსული ენისადმი „გაშინაურება" თუ საერთოდ ყოველგვარი რუსულისადმი განდგომის სურვილი. ნუ დაგავიწყდება, რომ რუსული ენის დაუფლება წინაპირობაა იმ ინტელექტუალური სიმდიდრის გაცნობისა, რაც რუსულ ლიტერატურას, კულტურას, მეცნიერებას გააჩნია.

საერთოდ მიმაჩნია, რომ უცხო ენების უკეთ დაუფლებისათვის უნდა გაიზარდოს სწავლების საათობრივი რაოდენობა, გამოიცეს მოსწავლეთათვის გამოსაყენებელი ლექსიკონები.

რაც შეეხება მოსწავლეთა სოციალურ მდგომარეობას, თუ რამდენად მძიმეა, ამის მაგალითად ისიც კმარა, რომ არცთუ მცირე ნაწილს საკვებიც უჭირს. ვფიცით, რომ ეს მტკივნეული პრობლემა მარტო ბავშვების კუთვნილება არაა, მაგრამ მოზარდის სოციალური დაცვის მექანიზმის შექმნა სახელმწიფოებრივ დონეზე, ეს მომავალი თაობის დაცვაა შიმშილისაგან. არის სხვა არანაკლები მნიშვნელობის პრობლემაც, არსებული კრიმინოგენური სიტუაციის, ქვეყანაში შექმნილი ზნეობრივი კრიზისის პირობებში საფრთხე ემუქრება მოზარდის ზნეობასაც. ამ უზარმაზარ პრობლემას ისევ საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის მოზარდთა ბედით დაინტერესება თუ გადაწყვეტს და საერთოდ სკოლა, მოზარდი ყველა ჩვენგანის საზრუნავი უნდა გახდეს.

**ნატო კვირკაშვილი**

**ჩხუტელის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროფტექნიკური განათლება

დროის ფაქტორი ყოველთვის იყო და არის ერთ-ერთი ძირითადი და გადამწყვეტი ნებისმიერი საქმის წარმართვის დროს. კარგი დრო და კარგი პირობები ყველაფრის დადებითად გადაწყვეტის საწინდარია. მეც ვუერთდები იმ დიდ არმიას, რომელიც უკმაყოფილოა დღევანდელობით. ჩემი უკმაყოფილება ძირითადად ეხება შემდეგს: ადამიანებში რწმენისა და სიყვარულის მოშლას, ველური ინსტინქტების წინ წამოწევასა და გონიერების უკან დახევას. რატომღაც დღეს ყველა გადასულია თავდაცვაზე, რომ თავი გაიმართლოს ყველგან და ყველაფერში და ყველაფერი დაა-

უტრანსპორტობის გამო მისი სურვილი განუხორციელებელი რჩება. დღესდღეობით სწავლების ნორმალური გაგრძელებისათვის საჭიროა 60 ახალგაზრდის მიღება სამწლიან ჯგუფებში. უახლოესი მონაცემებით გვყავს 40-მდე მსურველი, სწავლამდე დარჩენილ დროს მოვახმართ ამ კონტინგენტის შევსებას.

რაც შეეხება პერსპექტიული პროფილების შემოღებას, ზემდგომიდან გვთავაზობენ, მაგრამ ადგილზე კადრის (ვინც უნდა ასწავლოს) ნაკლებობის გამო თავს ვიკავებთ ამ წინადადებაზე. კონკრეტულად ლაპარაკია ბიზნესმენთა ჯგუფის გახსნაზე.

პერსპექტივას? არსებული ბაზის პირობებში ვერ ვხედავთ. საუბედუროდ, განათლების სამინისტროს კონცეფციებში არ ჩანს პროფსასწავლებლების განვი-

კი. პედკოლექტივის სახელით გეტყვით: გული გვწყდება, რომ ე. წ. ინტელიგენცია ჩვენგან მოითხოვს მეტს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ფიქრობს სწავლების რა პირობებია ჩვენთან და რა დონის კადრებთან გვიხდება მუშაობა. კოლექტივი ეწევა ტიტანურ შრომას არსებული კონტინგენტის ფარგლებში.

წელიწადს გვაქვს შემდეგი პროფილები. სამწლიანი სწავლებისათვის: საბუღალტრო აღრიცხვა; ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანე, ფერმერი; მკერავი; ერთწლიანი სწავლებისათვის — ავტომძღოლი ზეინკლის კვალიფიკაციით და საბუღალტრო აღრიცხვა. სამინისტრო უფლებას გვაძლევს გავხსნათ ნებისმიერი პროფილი, თუ კი ჯგუფში შევაგროვებთ 20—25

# რომ არა ათასი მაგრამ...

ბრალოს სხვას, თავისი უმოქმედობაც კი. დადგა შურის, ძალადობის, ავკაცობის, ე. წ. „შავი სამყაროს“ აყვავების პერიოდი. ამ ფონზე ყველა ობიექტი ზარალდება, მაგრამ, ჩემის ღრმა რწმენით, არც ერთი—ისე, როგორც სკოლა და აღზრდის სფერო. ასეთ სტიქიურ ვითარებაში, შიმშილის პროცესში, ყაჩაღობისა და დივერსიების პირობებში, არა თუ ძნელია, შეუძლებლადაც კი მიმაჩნია სასკოლო ცხოვრებაში მცირეოდენი წესრიგის დამყარება.

მიუხედავად აღნიშნულისა, სასწავლებელს, მის პედაგოგიურ კოლექტივს ფარ—ხმალი არ დაუყრია. გამოცხადების დღიდანვე შევუდექით №1 პრობლემის—სასწავლებლის დაკომპლექტების დადებითად გადაწყვეტას. ავირჩიეთ ვფიქრობთ, სწორი გზა—ყველა სკოლაში მისვლა, მშობლებთან შეხვედრა—საუბრები და დარწმუნება. ლეჩხუმში საკმაოდ არის ახალგაზრდობა, რომელიც ჩვენი სასწავლებლითაა დაინტერესებული, მაგრამ

თარების რაიმე პერსპექტიული გეგმა. რაიონში არსებული კადრებით შეიძლება დაწყებითი განათლების სპეციალისტების მომზადება უმაღლესი კვალიფიკაციით. ეს საკითხი, თუ შეიქმნება ამ საქმისათვის მებრძოლი დაინტერესებული ჯგუფი, ვფიქრობთ გადაწყდება. რაჭა—ლეჩხუმ—სვანეთის რეგიონების პროფსასწავლებლებში ეს სპეციალობა დაგეგმილია მხოლოდ ჩვენთან.

რთული პრობლემაა კვების ბლოკი, რომელიც გაიქურდა და ურომლისოდაც ჩვენი არსებობა წარმოუდგენელია.

თქვენს კითხვაზე—აწუხებს თუ არა სასწავლებლის ბედი ვინმეს: ჯერჯერობით ასეთი არც პიროვნება გვინახავს, არც უწყება. პირიქით, ბევრი ქილიკობს, ავტორიტეტს გვიცემს. მათ და სხვათა გასაგონად ხმამაღლა ვიტყვი: სასწავლებელში არის პედაგოგთა და ოსტატთა ის დონე და ძალა, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ არსებულის შესანარჩუნებლად და წინსვლისთვისაც

ახალგაზრდას. ქვის, კერამიკის, ხის დამუშავების სპეციალისტების მომზადებისათვის მცდელობა იყო ადრეულ წლებში, მერე ყველაფერი აირია და აღარავის აინტერესებს საერთოდ. სტიპენდია დღევანდელი ინფლაციის პირობებში სოლიდური იქნება.

გულისტკივილით ვამბობ იმასაც, რომ სკოლებში საპროფორიენტაციო მუშაობაზე დღეს გაგონებაც არავის უნდა, სამაგიეროდ ანტიაგიტაციაა გაძლიერებული ჩვენი მისამართით.

სხვა რა?—კადრები სტაბილურია, გულსაწყვეტი და საგანგაშოა, რომ სასწავლო ნივთები თუ ინვენტარ—მოწყობილობანი სამინისტრომ ვერაფერი მოგვცა.

და ბოლოს, ვთხოვ სკოლების ხელმძღვანელებს, ნუ ჩავიკეტებით ეგოისტურ ჩარჩოებში, გავიხედოთ წინ და მივაწოდოთ სასწავლებელს იმ დონის კადრი, რომელიც შეძლებს არსებული პროფესიების დაუფლებას და აქედან გამომდინარე რაიონის ინტერესების დაცვას.

რეზონანსი

# უპასუხისმგებლო პასუხის გამო

მიმდინარე წლის 19 აგვისტოს გაზეთ „ლეჩხუმში“ გამოქვეყნდა ორბელში მცხოვრები ჯემალ ონიანის წერილი „ჩვენც გვინდა არსებობა“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ორბელელ ჯემალ და მამუკა ონიანებს არ მიუღიათ შრომის ბირჟიდან სოციალური დახმარება.

ცაგერის შრომის ბირჟის დირექტორმა ნუნუ ბაბუხადიამ, რომ იტყვიან, არც აცივა, არც აცხელა და წერილის პასუხი ყოველგვარი შემოწმების გარეშე, თუ ზერელობის გამო მაშინვე გამოგზავნა რედაქციაში, რომელშიც აღნიშნულია (სტილი დაცულია): „გაზეთში გამოქვეყნებული წერილი ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია.. შრომის ბირჟას უწყისით ყველა თვეში თანხა ჩარიცხული აქვს და გადარიცხულია ორბელის სალაროში ივნისის თვის ჩათვლით. გთხოვთ გაზეთის მეშვეობით გამოაქვეყნოთ საპასუხო წერილი, ვინაიდან შრომის ბირჟას ეს საყვედური არ დაუმსახურებია“.

ქალბატონო ნუნუ! ვასრულებთ თქვენს თხოვნას და ამიტომ ვაქვეყნებთ ამ წერილს.

გაზეთში გამოქვეყნებული წერილი კი არ არის ყოველგვარ სიმართლეს მოკლებული, როგორც თქვენ აღნიშნავთ, არამედ თქვენს მიერ რედაქციაში გამოგზავნილი პასუხია უპასუხისმგებლოდ დაწერილი, რაც არ დაუმსახურებია გაზეთს და არც თქვენ გეკადრებათ. სანამ პასუხს დაწერდით და გამოაგზავნიდით რედაქციაში გამოსაქვეყნებლად, ჩაგეხედათ თქვენს უწყისებში და ნახავდით, რომ წერილი სამართლიანად იყო დაწერილი და ბოდიში მოგეხადათ ისედაც გაჭირვებული უმუშევარი ადამიანებისათ[illegible] რო [illegible] ბით დაგიდასტუროთ.

- ჯემალ და მამუკა ონიანებმა შრომის ბირჟას მოგმართეს 1993 წლის 12 აპრილს როგორც უმუშევრებმა, რათა მათთვის მიეცათ შემწეობა და პურის კომპენსაცია. თქვენც დააკმაყოფილეთ მათი თხოვნა, მაგრამ, როგორ, აპრილიდან დღემდე ჯემალ ონიანის სახელზე ორბელის შემნახველ სალაროში გადარიცხული იყო 26 აგვისტოსათვის მხოლოდ ორი თვის აპრილის და მაისის პურის საკომპენსაციო, ნაცვლად ოთხი თვისა. ხოლო მამუკა ონიანს ამავე დღისათვის გადარიცხული ჰქონდა მხოლოდ ერთი—აპრილის თვის—680 მანეთი. რაც შეეხება მაისისა და ივნისის თვეების კომპენსაციას მამუკაზე გამოწერილი არ ყოფილა. ჩვენს მიერ შემოწმდა ცაგერის შემნახველ ბანკში შრომის ბირჟის მიერ 24 აგვისტოს წარდგენილი ივნისის თვის შემწეობისა და პურის კომპენსაციის უწყისები და გაირკვა, რომ მასში თავიდან მამუკა ონიანი არ ყოფილა შეტანილი, ხოლო როდესაც გამოქვეყნდა გაზეთში კრიტიკული წერილი, მას შემდეგ, როგორც შემნახველ ბანკში გვითხრეს, 24 აგვისტოს შრომის ბირჟის ბუღალტერი ჩაბრძანდა შემნახველ ბანკში და უწყისის ერთ—ერთ ფურცელზე ჩაუმატა მამუკა ონიანი მისაღები 1150 მანეთით. იმას კი არ დაუკვირდა, რომ უწყისის ამ ფურცელში ქალაქ ცაგერში მცხოვრები უმუშევრებია ყველა შეტანილი, რის გამოც მისი თანხა ორბელის შემნახველ სალაროში არ გადაირიცხება და მამუკა ონიანი მის მისაღებად ამ უტრანსპორტობის პირობებში ცაგერში უნდა ჩამოვიდეს. რაც შეეხება მაისის თვის პურის კომპენსაციას, იგი არ უნდა დაეკარგოს მამუკა ონიანს.

ისედაც დაზარალებულ ადამიანებს ამ მძიმე ეკონომიკურ, შიმშილობის პერიოდში ნუ დავაზარალებთ.

მუზები არ დუმან

# მიჩუმებული ტყე და მშფოთვარე გულები

ზოგჯერ მზე ამოდის, მაგრამ ამ მზეს ის სიმშვიდე როდი მოჰყვება თან. მწუხარე სამყაროს რომ ენატრება.

ზოგჯერ დიდი ხმაურის შემდეგ საოცრად გვიჭირს, ოდნავი ხმაურის ან ოდნავი ჩქამის წინაშეც კი ვძრწით..

ჩვენ, უბრალო ადამიანები, რომელთაც ომი არ ენატრება და ომი არ უყვარს.

კედელს შეაშრა სისხლის სინედლე  
და თმაგაშლილი  
ქალი კიბეს დაუყვა წყნარად,  
ღმერთს შეავედრა  
საქართველო  
და ცრემლის ფარდა  
დაიხურა,  
როგორც ჭირის ის შავი  
კაბა.  
მზე ამოვიდა, როგორც  
დიდი ტკივილი კაცთა,  
მიუალერსა შეჭირვებულ  
მთებს,  
რა ნაადრევად მოვიდა  
სიყვითლე მთათა,  
რა ნაადრევად სიჭაბუკემ  
ჩაიცვა ძაძა,  
**სისხლის სინედლე**  
დაეღვარა მინდვრებს  
და ყვავილებმა შეიფერეს  
წითელი კაბა,  
სადაც ვაჟკაცებს მარხავდნენ გუშინ.

ის მზეც იქ მოკვდა და დაიმარხა. თითქოს ჩვეული სიდარბაისლით აწვალებს სამყაროს და რატომღაც ძველი, ჩამონგრეული, მრავალი წლის ნაჭარმაგევი ციხე, განთიადზე (ებზე) სასიამოვნო ხმებს გამოსცემს, თითქოს წინაპართა ძვლების მწუხარე (მხურვალე) ხმები იღვრებოდნენ. როგორც მიჩუმებული გულების მძლავრი გუგუნი..

საქართველოს ციხეებს მრავალი ბურჯმაგარი და გაუტეხელი ციხე შემატა ამ ერთმა წელმა. ისღა დაგვრჩენია, რომ მნათის ამოსვენებისას მათი ხმების სიდიადე ვიგრძნოთ, მათი ჩრდილების ქვეშ საქართველოს ბედკრულ აწმყოზე ვილოცოთ, ღმერთს შევავედროთ დღევანდელი საქართველო.

საოცრად გიხდება  
სახეზე იარა,  
ღია იარა და მკრთალი  
ფერი,  
ღიმილი კი არა შენს  
თვალებს ამშვენებს  
ტკივილი უთქმელი,  
მწველი.  
ვინ იცის, რამდენჯერ  
სიკვდილზე იფიქრე,  
და ძმაკაცს კოცნიდი  
ცრემლით,  
ძილში მოდიოდა დედა  
და  
კალთაში თავს სდებდი  
წყნარად.  
სიზმრებში გეძინა  
სიზმარში მოგიკლა  
წუხელი ჯალათმა ისიც(?)  
ნუთუ სიზმარში არ იყო  
(პატარა) მადონამ  
მოგართვა ვარდების  
კონა..  
გეგონა დაგლალა ამდენმა  
სისხლმა  
მაღალ მთებს გახედე  
ცალყბად,  
ძველ ციხეს ცრემლივით  
ეღვრება ეს სისხლი,  
მოადგა შავი ნისლი,  
რატომღაც არ გჯერა,  
სიძველეს შთანთქავენ..  
..ფიქრები,  
გაქრა ნისლები,  
ის შავი ნისლები  
ისევ იყვავილებს ბაღებში  
ასკილი,  
და ეს სიზმარიც დარჩება  
ქვეყნად,  
აუხდენელი ცუდი  
სიზმარი.

**მთვარისა გენდელიანი.**

პრობლემა

# მამები შთამომავლობის წინააღმდეგ?

უკანასკნელი სამწლეული რესპუბლიკისა და ჩვენი რაიონისათვის ნგრევის, განადგურებისა და ძარცვის წლებია. 70 წლის მანძილზე აშენებულის და გაკეთებულის დანგრევა და გაძარცვა 3 წელიწადში მოვასწარით. განუკითხაობაა ყველგან. დავანგრიეთ მეცხოველეობის კომპლექსები, გაძარცვით ყოფილ კოლმეურნეობათა შენობა-ნაგებობანი, ტექნიკა, საზვრების, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურის ობიექტები, განმკითხავი კი არავინ არის.

თვით ქალაქის ცენტრში აბანოდან და სამრეცხაოდან არარაფერი დარჩა, გაიძარცვა, რომ იტყვიან პირწმინდად. რატომ არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ქალაქის მოსახლეობას აბანო სჭირდება, ყველას ხომ არ აქვს სახლში საკუთარი აბანო. ანალოგიურ მდგომარეობაშია ქალაქის ცენტრალური გათბობის საქვაბე. ამ საკითხებზე წინათაც ბევრჯერ დავწერეთ, მაგრამ ყურად არავინ იღო.

ახლა ძარცვის ობიექტად ქალაქის ცენტრალური მოედანი იქცა: ლენინი და მისი პარტია რომ სძულდა ადამიანებს, იქიდანაც ჩანს, ლენინის ძეგლის კვარცხლბეკი თავის კიბეებიანად გაძარცვეს, შემოაცალეს გრანიტის ფილები.

მართალია, არ გვიყვარდა ლენინი და მისი ძეგლი დავანგრიეთ კიდეც, მაგრამ ცენტრალური მოედნის იმ კიბეებს რას ვერჩით, რომელზედაც ყოველდღიურად ასობით ადამიანი დადის. რომლის აშენება და კეთილმოწყობა მილიონობით მანეთი დაჯდა. ყველა ნორმალურ ადამიანს გული ეტკინება, რომ ნახავს ფილებაყრილ საფეხურებს. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, ეს ფილები მიცვალებულთა სასაფლაოების მოსაწყობად წაიღესო. განა ადამიანურობის ჩარჩოში შეიძლება ჩაეტიოს ის, რომ ნაძარცვ-ნაქურდალით მიცვალებულთა სამუდამო სამყოფელი მოვაწყოთ? შეურაცხვყოთ მათი ხსოვნა?

ალბათ მალე ადმინისტრაციულ შენობებთან მისასვლელი კიბეების საფეხურებსაც აყრიან და მაშინ მაინც დაინტერესდებიან შესაბამისი ორგანოების თუ ორგანიზაციების ხელმძღვანელები გამოავლინონ ეს მძარცველები და მიუზღონ საკადრისი.

ადამიანებო, გონს მოდით, ნუ დავკარგავთ სინდისს, ნამუსს და პატიოსნებას, ნუ გავანადგურებთ ათეული წლობით ნაშენ-ნაკეთებს. რატომ გადავიტაცა პირადულობის, კერძო საკუთრების მანიამ ასე, არც სოციალისტური და არც კაპიტალისტური მორალი არ ითვალისწინებს ასეთ ძარცვა-გლეჯას. ნუთუ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს უნდა დავუტოვოთ მამებისაგან დანგრეულ-გაძარცული ხელახლა საკეთებლად?

ნ. ცაგარელი.

# სიცილი წამალია

ტრადიციული საღამო-წარმოდგენა და კონცერტები 1993 წლის 17 აგვისტოს „სიცილისა და იუმორის“ საღამომ შეცვალა საირმის სასოფლო კლუბის სცენაზე (კლუბის გამგე ციალა ხუციძე).

კონფერანსიემ დასაწყისშივე ამცნეს მაყურებელს, რომ ამ აწეწილ-დაწეწილ, არეულ-დარეულ დროში უჭირს ადამიანს, მაგრამ სწორედ ამ გაჭირვების ჟამს უფრო გჭირდება ჩუმი ღიმილიც და ხმოვანი სიცილი გასამხნევებლად.

ამ შესავლის შემდეგ სკეტჩს მინიატურა სცვლიდა, ლექსს-ანეგდოტები და მოსწრებული სიტყვა-პასუხი, სიმღერას დღევანდელი ცხოვრებისეული სურათები, გაჭირვებულ ყოფას ოპტიმისტური განწყობილება ფარავდა და საღამომაც სიცილ-ხარხარში ჩაიარა. აღსანიშნავია, რომ საღამოს მეზობელი სოფლიდანაც ესწრებოდნენ.

საყოველთაო მოწონება ხვდა წილად სცენის მოყვარულ ახალგაზრდებს: მარიკა, თამრიკო, მინდია ხუციძეებს, ნათია, მარიკა, ვანო, ელგუჯა ალავიძეებს და ნანა ხეცურიანს.

ამ წერილის დაწერით იმის თქმა მინდა, რომ საირმის სასოფლო კლუბმა ამ გაწამებულ დროშიც მოახერხა ახალგაზრდების შემოკრება და ყოველგვარი სანახაობის დეფიციტის პირობებში შეძლო მშრომელი ხალხის ყოველდღიური გასაჭირის დროებით დავიწყება.

ჰ. ხუციძე.

# ყურადღება!

ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ამა წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შედის საერთაშორისო საქალაქთაშორისო სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირების ახალი ტარიფები.

საქალაქთაშორისო ლაპარაკის 1 წუთის ღირებულება შეადგენს:

ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან—650 კუპონს.

სომხეთთან და აზერბაიჯანთან—450 კუპონს.

რესპუბლიკის შიგნით—100 კუპონს.

დეპეშაში 1 სიტყვის ღირებულება:

ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან—80 კუპონი.

რესპუბლიკის შიგნით—წარმოება დაწესებულებებისათვის 30 კუპონი;

მოსახლეობისათვის—25 კუპონი.

ბინის და სასტუმროს ტელეფონებიდან კრედიტით განხორციელებულ ლაპარაკებზე დამატებითი გადასახადი—100 კუპონი.

კავშირგაბმულობის ცაგერის საწარმოო სამმართველოს ადმინისტრაცია.

## ვულოცავთ

მირანდა ყურაშვილს, ევგენი მამარდაშვილს
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.
თამრიკო, ალუდა დავითულიანები.

რუსუდან ამურის ასულ ნემსწვერიძეს
გოგი ჯუსტანის ძე ხეცურიანს
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ.
ელისო, ამირან გურგუჩიანები, ჟალინა, გოჩა ბურჯალიანები.

ლელა მახაროგლიძეს, ომარ ფრუიძეს
გილოცავთ ბედნიერებას.
ნათლული ბესიკ ჩაჩხიანი.

ლელა მახაროგლიძეს, ომარ ფრუიძეს
გილოცავთ ბედნიერებას.
ორბელის საექიმო უბნისა და აფთიაქის თანამშრომლები.

რუსუდან ნემსწვერიძეს, გოგი ხეცურიანს
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იბედნიერეთ.
გიგი, ნინო, კახა ბურჯალიანები.

მაყვალა მუშკუდიანს, მურთაზ ნადარეიშვილს
გილოცავთ ბედნიერებას. ფუძემყარი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.
მთვარისა გიორბელიძე.

იზო გოგოხიძეს
გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას.
№ 2 ბაგა—ბაღის კოლექტივი.

გულო, ვიტალი ხეცურიანებს
გილოცავთ მაკას ვაჟიშვილის შეძენას. სასახელო ვაჟკაცი ალზრდილიყოს.
გალაქტიონ ლიპარტელიანი, ჯონი მეშველიანი, მურად გარგაძაძე ოჯახებით.

მაყვალა, გენადი კოპალიანებს
გილოცავთ სოფიკოს უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას.
გორის, გიგა ჭაბუკიანები ოჯახებით.

დოდო, გუჭუ მამარდაშვილებს
მაგული, ბიჭიკო ქარსელაძეებს
გილოცავთ შვილების ნინოსა და სოფოს ბედნიერებას.
ჯიმშერ ახვლედიანი, დავით სვანიძე, თამაზ, პარიმონ ხეცურიანები, ვალოდია თოდიძე, ემზარ მუშკუდიანი, მარო სალინაძე, ზაურ ომანაძე, დათო მიქაძე, გენადი ჭაბუკიანი, ზაზა ყურაშვილი, გივი შკუბულიანი, გურამ ჩაფრავა, ავთო ჩორგოლიანი.

თამრო, ზურაბ ხვისტანებს
გილოცავთ ქეთინოს სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვას.
ტატიანა, შუქურა, ლალი.

ნინო, კახა მუშკუდიანებს
ნანი, ჟორა თუთისანებს
გუგული, ავერიონ მუშკუდიანებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.
შალვა, სოზარ ომანაძეები ოჯახით.

ნინო ომანაძეს
გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.
იმედა, ნუკრი.

გოგუცა, გულო, ვიტალი ხეცურიანებს
გილოცავთ შვილთაშვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ სასახელო ვაჟკაცი.
ბიჭიკო ქარსელაძე, თენგიზ მეშველიანი, კოგა ხურციძე ოჯახებით.

ნატო ელიოზის ასულ მამარდაშვილს
გილოცავთ დაბადების დღეს.
აზა, თორნიკე, მამუკა სვანიძეები.

ლელა მახაროგლიძეს, ომარ ფრუიძეს
გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.
ლაილაშის საექიმო ამბულატორიის თანამშრომლები.

მაგული, ნოდარ ყურაშვილებს
გილოცავთ მირანდას ბედნიერებას.
ალვის სკოლის პედკოლექტივი.

ნაირა მეშველიანს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
№ 2 ბაგა—ბაღის თანამშრომლები.

ნათელა, ციცინო, გია, გურამ გვიშიანებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
კახა ბურჯალიანი, ბადრი გურგუჩიანი.

მიმოზა, გორია ბენდელიანებს
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.
გორის კაკრიაშვილი ოჯახით.

გენადი სილაგაძის ოჯახს
გილოცავთ ზაზას უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.
დავით ლიპარტელიანი ოჯახით.

ჟენია მურცხვალაძეს
გილოცავთ შვილის ბედნიერებას.
№ 2 ბაგა—ბაღის თანამშრომლები.

გულო, კარლო ჩაკვეტაძეებს
გილოცავთ მაიას უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.
ნათლული ფიქრია კაკრიაშვილი.

ჟუჟუნა, კაკო ფრუიძეებს
გილოცავთ თორნიკეს ბედნიერებას.
ბადალო, მურთაზ ჩაჩხიანი.

ეკა, დათო, იზო, ვაჟა კვენეტაძეებს
გილოცავთ შვილის და შვილიშვილის, ვაჟას შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
ზაირა, გონდო ყურაშვილები.

მიმოზა, გორის ბენდელიანებს
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.
ზაირა, გონდო ყურაშვილები.

ჩიტო მუშკუდიანს
გილოცავთ გოჩას ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებელში.
აზა აკობიძე, ნუნუ ახვლედიანი.

ნატო მუშკუდიანს, ჯიგული ლეთოდიანს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
სოფო, გოჩა, აზა, მამუკა სვანიძეები.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

## ხსოვნა

# ჯონი ჯონის ძე ბაკურაძე

უამრავი კატაკლიზმებით აღსავსე ცხოვრებაში უჩვეულო თითქოს აღარაფერია, თვით სიკვდილიც კი.

ჯონი ბაკურაძე ჩვენი, ოთხმოციანელთა თაობის ერთი ჩვეულებრივი ღიმილის ბიჭი იყო, სწორედ რომ ღიმილის, გულწრფელი მაშინაც კი, როცა გულჩათხრობილი იყო, მუდამ შეეძლო ხალისი არ მოეკლო მეგობრებისთვის, მხიარულად დაეწიოკებინა კლასის პრანჭია გოგოები, შეურაცხყოფის გარეშე გაეშარჟებინა ბიჭები ცოცხალსა და იუმორით აღსავსეს, კოხტას და თავით ფეხამდე გამოწკეპილს ამ სიტყვის სრული დატვირთვით, პირღიმილიანსა და მოცეკვავის ლამაზი ნაბიჯით მოარულს.

სასკოლო სპექტაკლში განსახიერებული კონკია გვადი ამჟღავნებდა ჯონის ნიჭსა და შესაძლებლობებს, მის ნამდვილ ჰუმორს.

ვინ იფიქრებდა, რომ ბედს შეეძლო ასეთი ღიმილის ბიჭის გაწირვა.

ასტრახანიდან უჩუმრად იმისთვის ჩამოაკითხა მეგობარს, რომ ინსტიტუტში აღდგენის საქმე დაეზუსტებინა და იმედით აღსავსეს გაეგრძელებინა ცხოვრება, მაგრამ ბედმა კვლავ უმუხთლა და გაიმეტა მძიმე ტვირთისთვის.

თანაკლასელები ბავშვობიდან სიყვარულით ვეძახდით „ჯოგოტიჩს".

დღეს ჩვენი „ჯოგოტიჩი" მარადიულ სასუფეველშია და ღმერთმა ჰქნას, ნათელში ამყოფოს მისი სული.

თუ მარადისობის კანონი გვასწავლის, რომ უკვდავყოთ ერთმანეთის სული, რომ მარტონი არ დავრჩეთ, ამიტომ ნუ მოგვაკლებ, ღმერთო, ღიმილის ბიჭებს, ყველა თაობაში რომ არიან მრავლად, რომ ხვალ და სამომავლოდ არ იყოს სევდიანი გახსენებანი, მონატრებანი, რადგან ადამიანის სული გაცილებით მძიმეა, ერთ ადამიანს (დიდსა და მცირეს, ჩინიანსა და უჩინოს, ბოროტს თუ კეთილს) მისი ტარება არ შეუძლია.

**ია აბესალომის ასული ცხვედიანი.**

# კლავდია ფრუიძე-ისიანი

ძვირფასო მეგობარო! გაუნელებელი ტკივილი მოუტანა შენს კოლექტივს შენმა დაკარგვამ. ორნაირი ტკივილი, რადგან ამ გაუკუღმართებულ ყოფაში საკადრისი ცრემლიც ვერ გაჩუქეთ, ვერ გამოვემშვიდობეთ შენს სპეტაკ სულს.

კლავდია ფრუიძე—ისიანი— საშუალო და უფროსი თაობის ჩვენი რაიონის ადამიანებს კარგად ახსოვთ შენი სახელი, მშვიდი მოკრძალებული, სიდარბაისლით გამორჩეული ქალბატონის. სწავლული აგრონომი 30 წელზე მეტხანს რაიონის მეთესლეობის ინსპექციის უფროსი, კოლექტივსა თუ რაიონის საზოგადოებაში პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდი. ეს გასულდგმულებდა, სტიმულს გმატებდა [illegible] დაჩაგრულ შინამოუსვლელის ქვრივს.

პენსიონერი წახვედი ჩვენგან ვალმოხდილი, შრომის დაღლილი, თმაგადაპენტილი. ზოგიშს გიხმობდა დაღუპული მეუღლის ფუძე—ჭერი მოვალეობა ერთად—ერთი შვილისა და შვილიშვილების წინაშე.

მას შემდეგ მონატრება, ტკბილი მოგონება და შეხიანება თუ გვაკავშირებდა ერთმანეთს.

ახლა სამუდამოდ გემშვიდობებით, უფროსო მეგობარო, პატივცემულო კოლეგავ. ბედნიერი ხარ, რომ ქართველ-ქალობის ყველა ღირსებით გაეშურე სამუდამო სასუფეველში.

**მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის კოლექტივი.**

---

მეუღლე ნარიმან, შვილები როინი, გურამი, რეზო, რძლები მაგული, ზაირა კოპალიანები, ციცო ლურჯუალიძე, მანანა ხეცურიანი, ასმათ ბენდელიანი, მაზლი გერონტი, მაზლიშვილები ბადრი, გოჩა, დები ფაფალა, ლამარა, ძმები შალვა, ლადო, შვილიშვილები, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლოლა ვალიას ასული კოპალიანი—ქომეთიანი**

დაკრძალვა 11 სექტემბერს, შაბათს, სოფ. ჭალისთავში.

---

ნაირა, გრიგოლ სალინაძეები ოჯახით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**კახა ფუტკარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯემალ, მურთაზ კოპალიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჯაბო ხეცურიანის ოჯახს

**ლია გიორგბელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები გონდო, გივი, რძლები მაგული, ნანული, ნატო, ხათუნა, ნანა, შვილიშვილები ქეთინო, რუსუდან, გია, ხვიჩა, ილო, სიძეები ჯემალ თვარაძე, როინ ვაჩაძე, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან

**ვერა ნესტორის ასული ხეცურიანი —ბენდელიანის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 სექტემბერს, შაბათს, ქ. ცაგერში.

---

თენგიზ ჩიქოვანი, სოსო დავითულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ თამაზ, სოსო ფუტკარაძეებს ძმისშვილის

**კახა ფუტკარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის „სოფლმშენკომპლექსის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ოლეგ, ნანა გიორგობიანებს ბიძის

**დადაში გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე თალიკო, შვილები კოსო, ირა, ძმა გივი, რძლები ლია, პაშა, ნანული, პიცინო, სიძეები ჟორა გაბიძაშვილი, რობერტ გოდოლაძე, შვილიშვილები დადაში გიორგობიანი, მამუკა გაბიძაშვილი, კარლო, მიხეილ, ეკატერინე გოდოლაძეები, ძმისშვილები ოლეგი, ზია, ლელა, ნანა, ძმისშვილიშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დადაში ანტონის ძე გიორგობიანი**

დაკრძალვა 12 სექტემბერს, კვირას, სოფ. ლვირიში.

---

ავთანდილ [illegible], ჟორა ახვლედიანი, გელა ხვადაგიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჯაბო ხეცურიანს მეუღლის

**ლიას**

გარდაცვალების გამო.

---

სარდიონ, კიტა ფუტკარაძეები, ნუნუ [illegible] ოჯახებით იუწყებიან

**კახა ფუტკარაძის**

გარდაცვალებას.

---

[illegible] ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ლია გიორგბელიძე—ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ჟორა, დათო ხეცურიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ლია ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

[illegible] ლაშხელიანი თანაუგრძნობს ივერი ისიანის ოჯახს

**კლავდიას**

გარდაცვალების გამო.

---

რაფიელ, ბორის კვირკაშვილები, კაკო მურცხვალაძე, ავთო ეფაძე, კარლო, კაკო მეზველიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჯაბო ხეცურიანის ოჯახს მეუღლის

**ლია გიორგბელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

სამსონ ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ლიანა ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ოთარ ქურაშვილი, გრიშა ჭილვარია ოჯახებით იუწყებიან

**კახა ფუტკარაძის**

გარდაცვალებას.

---

რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნატო, თამაზ ფუტკარაძეებს

**კახა ფუტკარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის „საქსოფლმშენკომპლექსის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამაზ ფუტკარაძეს ძმისშვილის

**კახა ფუტკარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ზაურ ახვლედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ნათლული

**კახა ფუტკარაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

რაიაბრეშუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუბენ კვირკაშვილს შვილიშვილის

**სერგი ჟღენტის**

გარდაცვალების გამო.

---

დედა ლეილა, და თეა, ბებიები ლუბა, მარო, გოგუცა, ნინა, ლენა, საშა, ჟუჟუნა, ცისმარი, მარო, ბაბუები ედიშერ, ოთარი, შალვა, ჟორა, ავთო, მიშა, კოლია, ბიძები თამაზი, სოსო, ვაჟა, ვახტანგი, თემური, სულიკო, დეიდები იზო, ნაზი, სონია, ბიცოლები ნატო, მანანა, ჟულო, მანანა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კახა ომარის ძე ფუტკარაძე**

---

კოჩა, ზაზა, მაკა ახვლედიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კახა ომარის ძე ფუტკარაძე.**

---

ზივი გენია, მიშა, ჯიბილო ჭამარდაშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ მანანა, სოსო ფუტკარაძეებს

**კახას**

გარდაცვალების გამო.

---

ლიო მუშკუდიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**კახა ფუტკარაძის**

უდროოდ გარდაცვალების გამო.

---

ბრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა, სოსო ფუტკარაძეებს

**კახა ფუტკარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

რაიაბრეშუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლეილა ფუტკარაძეს შვილის

**კახა ფუტკარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის 1989—90 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელები [illegible] ჩიქოვანი, დოდო ნემსწვერიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კახა ომარის ძე ფუტკარაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

იზო გოგოხიძე, დათო ხეცურიანი, ჯუმბერ ცვარიანი, ვილა მამარდაშვილი, ბუჭი ბენდელიანი, შადიმან დავითულიანი, ჟორა სილაგაძე, ივი ქომეთიანი, გრიშა კაპულიანი, შერმადინ სალიბაძე, გიშა, სარაფიონ ახვლედიანები, ანზორ კვირკაშვილი, ოთარ ვაწაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**კახა ფუტკარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ჟორა შკუბულიანი, ჯიმშერ, თენგიზ მეშველიანები, ომარ, ლუდვიკ, კობა, ავთო ბენიძეები, ლოლა ახვლედიანი, ია სადილიანი, თამაზ ლეთოდიანი, გურამ კოპალიანი, ავთო, გურამ, ჯიმშერ, [illegible] ლიპარტელიანები, როსტომ მუშკუდიანი, კოწია სილაგაძე, მიტუშა გოგიძე თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**კახას**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

№ 2 ბაგა—ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ იოლეტა მურცხვალაძეს

**ვალტერისა და სერგის**

გარდაცვალების გამო.

---

№ 2 ბაგა—ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თაილი თვარაძეს სიძის

**გრიგოლ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე [illegible], შვილები ოლეგი, ირინა, დარეჯანი და [illegible], რძლები ლალი ზარკალიანი, ნაზი სილაგაძე, სიძეები ვალერი ძოწენიძე, ლევან უჩაძე, შვილიშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, [illegible]შვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოთარ სიმონის ძე ნემსწვერიძე**

დაკრძალვა 9 სექტემბერს, ხუთშაბათს, სოფ. უცხერში.

---

საგზაო სამმართველოს მუშაკები თანაუგრძნობენ ოლეგ გიორგობიანს ბიძის

**დადაშის**

გარდაცვალების გამო.

---

ამირან ახვლედიანი, ანდრო ბურჯალიანი, საშა გერიძე, [illegible]რაზ ჭილვარია, ნუგზარ, გია ჭაბუკიანები, გოგი მუშკუდიანი, ნანი ხაბულიანი, მევლუდ სილაგაძე, ქიშვარდი ყურაშვილი, ვენედი ცხვედიანი თანაუგრძნობენ ცისინოს, ოლეგ გიორგობიანებს ბიძის

**დადაში გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლავნიკო სილაგაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ოთარ სიმონის ძე ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

რაიაბრეშუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვერა კვირკაშვილს დის

**თამარ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვლადიმერ ხეცურიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ლია ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ, გელა, თამაზ სალინძეები, ოთარ ლიპარტელიანი, ლუდვიგ ხეცურიანი, გრიშა შკუბულიანი, ჟორა, [illegible]ზო ლეთოდიანები, ჟორა სილაგაძე, ვალიკო კოპალიანი, რეზო ბენდელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ვერა ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერის საბავშვო ბაგა—ბაღის პერსონალი თანაუგრძნობს ნათელა ქომეთიანს დეიდის

**ლოლა ქომეთიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერის საბავშვო ბაგა—ბაღის პერსონალი თანაუგრძნობს მაგული ქომეთიანს ბიძის

**გრიშა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერის საბავშვო ბაგა—ბაღის კოლექტივი თანაუგრძნობს ლენა ფალავანდიშვილს ბიძის

**ალიკო ფალავანდიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

რეზო მურცხვალაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ლია ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლეილა, ტახია ლიპარტელიანები თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**კახას**

გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიონული სტამბა